

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ჯეო სერვისი

ს/ნ 412730077

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობა 31.12.2021

საქმიანობის შედეგები 31.12.2021

განმარტებითი შენიშვნები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე
- საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია : საზოგადოება, როგორც უცხოური საწარმოს ფილიალი დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლის 16 ოქტომბერს

საფირმო სახელწოდება: ჯეო სერვის

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 412730077

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქუთაისი, ილ.ჭავჭავაძის გამზ., №46ა, ბ. 51

ფაქტიური მისამართი : საქართველო, თბილისი, ქ.თბილისი ხოშარაულის 29

საქმიანობის ძირითადი სფერო : საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არის ეროვნულ ვალუტაში ლარი.

ანგარიშების პერიოდი: ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია 2021 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

სააღრიცხვო პოლიტიკა და წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს :

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);
2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს
3. 3 ახსნა-განმარტებით შენიშვნებს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ,ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის ,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას .ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელი დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები .ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით .

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების, გადასახადისაგან განთავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამიჯნულად.

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შემენის ფაქტობრივი თვითღირებულებით ,რომელიც მოცავს შეძებასთან,ტრანსპორტირებასთან ,შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპი დანახარჯებს .

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცვის მეთოდია -უწყვეტი -

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ,ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის ,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას .ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელი დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები .ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით .

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების, გადასახადისაგან განთავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამიჯნულად.

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შემენის ფაქტობრივი თვითღირებულებით ,რომელიც მოცავს შემებასთან,ტრანსპორტირებასთან ,შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპი დანახარჯებს .

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცვის მეთოდია -უწყვეტი -

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია
„საშუალო შეწონილი“

სხვა აქტივების აღრიცხვა - მრავალჯერადი გამოყენების აქტივები რომელთა
გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი
აქტივების შემადგენლობაში

სპეცტანსაცმელი და შრომის დაცვის საშალებები აისახება მოკლევადიანი აქტივების
შემადგენლობაში

ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა -

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების
საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და
ადმინისტრაციულ ხარჯებს

-100 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები მარაგებში არ აისახება და
ექსპუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აცულებელ ნივთები და მასალები
(კატრიჯები, დისკები, ეკრანი ს გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და
შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს

მასალები რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის
შემადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხარე საშუალება მიეკუთვნება
ზედნადებ ხარჯებს

მასალები რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი
საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები
ჩამოიწერება მიმდინარე რემონტის ხარჯებში

ძირითადი საშუალებები-

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით
რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად
გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში
მოყვანის ხარჯებს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმიური დაგროვება)
- უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებებით .
- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით
-
- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით
- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით
- საწარმო ძირითადი საშუალებების გადაფასებას ახდენს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან .

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

- მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის შპს ექსპრესსერვისი 2008 ფინანსური ანგარიშგება მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

საგადასახადო ვალდებულებები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად

საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშებაში
ასახეული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში
ასახეული თანხებით)

შემოსავლების აღიარება

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგებოი ბალანსის შედგენის
თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად,
თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება .
- შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის
გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები
ანაზღაურების რეალური ღირებულებით

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს ძირითადი
საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული

ხარჯების აღიარება

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- ხარჯების აღირიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით
- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა
შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის
შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ
განისაზღვროს.
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის,
კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია
კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის
უზრუნველსაყოფად.
- საოპერაციო ხარჯები ცხრილი

კაპიტალი -

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს საწარმოს საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა ნდობის შენარჩუნებას. ეს მიიღწევა ფულადი ნაკადების ეფექტური მართვით, საწარმოს შემოსავლებისა და მოგების, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით,

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლის შესაბამისად, საწარმოს მოგება განისაზღვრება როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ

შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. დასაგებებრი მოგება იბეგრება 15 %-ით.

ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საბაზრო რისკი საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

ძირითადი საადრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები კომპანია ახდენს ძირითადი საადრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში

საექვო ვალების რეზერვი. საწარმო კლიენტის გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

COVID 19

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

დირექტორი: ირაკლი კამლაძე

მთ.ბუღალტერი: ქეთევანი ლეჟვინაძე



შპს ჯეო სერვის

ს/ნ: 412730077

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2021

აქტივები	შენიშვნა	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
მიწა	1	-	-	-
ძირითადი საშუალებები	1	115807	114665	59631
არამატერიალური აქტივები	1	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		115,807.00	114,665.00	59,631.00
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2	803825	863902	479685
სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	3	208975	319583	154854
გადახდილი ავანსები	3			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4	56481	23705	30417
სულ მიმდინარე აქტივები		1,069,281.00	1,207,190.00	664,956.00
სულ აქტივები		1,185,088.00	1,321,855.00	724,587.00
ვალდებულებები				
სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	5	829664	1176341	493222
სხვა ვალდებულებები (ბანკის სესხები)	5	120000	99746	100000
საგადასახადო ვალდებულებები	6	30,334.00	26,007.00	8570

სულ მიმდინარე ვალდებულებები		979,998.00	1,302,094.00	601,792.00
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	7	-	-	122,795.00
გაუნაწილებელი მოგება	7	205090	19761	0
სულ კაპიტალი		205,090.00	19,761.00	122,795.00
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,185,088.00	1,321,855.00	724,587.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

(Handwritten signatures)



შპს ჯეო სერვის

ს/ნ: 412730077

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

#	დასახელება	თანხა
შემოსავალი		
1	მომხმარებლისაგან მიღებული ფულადი სახსრები	5,127,035.00
2	ვალუტის კურსის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	
	სულ შემოსავალი	5,127,035.00
გასავალი		
1	გადახდილი ხელფასები	228,023.00
2	გადახდილი დივიდენდები	-
3	გადახდილი გადასახადები	87,820.00
5	ბანკის მომსახურების ხარჯი	
6	მომწოდებლებზე გადახდილი თანხები და სხვა ხარჯები	4,778,416.00
7	საწედებო კაპიტალის შემცირება	-
	სულ გასავალი	5,094,259.00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	23,705.00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	56,481.00

დირექტორი:



მთ. ბუღალტერი:



შპს ჯეო სერვისი

ს/ნ: 412730077

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ანგარიში	შემოსავალი	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
			თანხა	თანხა	თანხა
6,110	შემოსავალი რეალიზიციიდან	3,842,798.00	4,126,323.00	2,963,472.00	
8,110	არასაოპერაციო შემოსავლები	0.00	0.00	0.00	
	სულ შემოსავალი	3,842,798.00	4,126,323.00	2,963,472.00	
	ხარჯები				
7,210	გაყიდული/შემძენილი საქონელი	3,158,473.00	3,222,117.00	2,263,978.00	
7,340	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	25,217.00	21,867.00	2,589.00	
7,410	შრომის ანაზღაურება	228,023.00	189,382.00	161,559.00	
7,416	საპენსიო ხარჯი	4,560.00	3,000.00	3,231.18	
7,420	იჯარა	124,066.00	71,587.00	59,859.00	
7,424	რეკლამის ხარჯი	515.00	398.00	0.00	
7,426	სამეურნეო ხარჯი	5,045.00	2,958.00	0.00	
7,430	კომუნიკაციის ხარჯები	8,807.00	798.00	2,232.00	
7,435	დაზღვევა	0.00	4,585.00	4,585.00	
7,436	საპროცენტო ხარჯი	19,322.00	16,680.00	28,680.00	
7,450	საკონსულტაციო ხარჯები	8,170.00	15,515.00	12,382.00	
7,455	ცვტა და ამორტიზაცია	26,358.00	17,403.00	5,200.00	
7,460	საკანცელარიო ხარჯი	3,054.00	2,905.00	2,726.00	
7,490	სხვა საერთო ხარჯი	36,956.00	26,833.00	134,248.82	
7490 1	ბანკის საკომისიო	8,903.00	4,747.00	4,077.00	
8,220	არასაოპერაციო ზარალი	0.00	4,239.00	0.00	
	სულ ხარჯი	3,657,469.00	3,605,014.00	2,685,347.00	
	მოგება	185,329.00	521,309.00	278,125.00	200,242.00
	მოგების გადასახადი	-	75,232.00	71,755.00	
	მოგება	185,329.00	446,077.00	206,370.00	200,242.00
	მოგების განაწილება მესაკუთრეებზე(მათ შორის დივიდენდი)		426,316.00	406,612.00	
	დარჩენილი მოგება	205,090.00	19,761.00	-	200,242.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს ჯეო სერვის
ს/ნ: 412730077

შენიშვნა 1 - ფიქსირებული აქტივები

დასახელება	ბალანსი 31 /12/ 2021 წ.	ბალანსი 31 /12/ 2020 წ.	ბალანსი 31 /12/ 2019 წ.
ოფისის აღჭურვილობა	20,181.00	4,631.00	4050
მსუბუქი ავტომობილი	95,626.00	110,034.00	55581
სხვა ძირით. საშუალებები		-	
		-	
		-	
	115,807.00	114,665.00	59,631.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

[Handwritten signatures]



შპს ჯეო სერვის

ს/ნ: 412730077

შენიშვნა 2 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

#	დასახელება	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.
1	სხვადასხვა საქონელი (ელექტრო-სარემონტო-სამშენებლო-სამონტაჟო)	803825	863,902.00	479685
		<u>803,825.00</u>	<u>863,902.00</u>	<u>479,685.00</u>

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს ჯეო სერვის
ს/ნ: 412730077

შენიშვნა 3 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება; გადახდილი ავანსები

#	დასახელება	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.
1	მოთხოვნები რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	208975	319,583.00	154,854.00
2	გადახდილი ავანსები	-	-	-
	სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	208,975.00	319,583.00	154,854.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

Handwritten signatures in blue ink.



შპს ჯეო სერვის
ს/ნ: 404430139

შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ექვივალენტები

#	დასახელება	31.12.2021წ.	31.12.2020წ.	31.12.2019 წ.
1	სალარო	43452	17,998.00	11,442.00
2	ბანკი	13029	5,707.00	18,975.00
	სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	56,481.00	23,705.00	30,417.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

[Handwritten signatures in blue ink]



შპს ჯეო სერვის
ს/ნ: 412730077

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები, სხვა ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.
1	სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	829664.00	1,176,341.00	493,222.00
2	სხვა ვალდებულებები(ბანკის სესხები)	120,000.00	99,746.00	100,000.00
	ჯამი	949,664.00	1,276,087.00	593,222.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:






შპს ჯეო სერვის
ს/ნ: 404430139

შენიშვნა 6 - საგადასახადო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.
1	საგადასახადო ვალდებულება	30,334.00	26,007.00	8,570.00
	სულ საგადასახადო ვალდებულებები	30,334.00	26,007.00	8,570.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

ი. კახიძე
მ. მჭედუშვილი



შპს ჯეო სერვის
ს/ნ: 412730077

შენიშვნა 7 - კაპიტალი

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	19,761.00	-	19,761.00
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	185,329.00		185,329.00
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა		-	-
4	კაპიტალის შემცირება; მოგების გადასახადით		-	-
5	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	205,090.00	-	205,090.00

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	-	-	-
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	521,309.00	-	521,309.00
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა		- 426,316.00	- 426,316.00
4	კაპიტალის შემცირება; მოგების გადასახადით		- 75,232.00	- 75,232.00
5	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	521,309.00	- 501,548.00	19,761.00

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	200,242.00	-	200,242.00
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	278,125.00		278,125.00
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა		- 406,612.00	- 406,612.00
4	კაპიტალის შემცირება; მოგების გადასახადით		- 71,755.00	- 71,755.00
5	ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	478,367.00	- 478,367.00	-

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

(Handwritten signatures)

